

40
1939/9

საქართველოს
განათლებლის
მინისტრო

ბიბინელო



1939

4



პიონერი

საქ. ალკ. ცენტრალური კომიტეტისა და
საქ. განსახკომის ერთობიური უზრუნველყოფის

აპრილი 1939წ. № 4

გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3-02-61.

შინაარსი

	გვ.
1. გიორგი კაჭახიძე, —ჯარში მიდის (ლექსი)	1
2. იგორ ვსევოლოუსკი, —ორი მეგობარი (მოთხრობა თარგმანი არტემ ახნაზაროვისა)	2
3. ცკვიტი, —ჯემალი (მოთხრობა)	5
4. სიონიძისთავალი, —შიო მღვიმელს (ლექსი)	9
5. ლავრენტი ზიზინაძე, —ანდერძი (მოთხრობა)	10
6. მარიჯანი, —მინც ბრუნავს (ლექსი)	14
7. ვლ. კახიანი —ჭიანჭველების ომი (ნარკვევი)	15
8. მოსწავლეთა შემოქმედება (ლექსები)	16
9. წერილი მკითხველებს (გასართობი)	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ ი. ქოქიაშვილისა და ა. სავინის მიერ
ყდის მხატვრობა ეკუთვნის ა. სავინს


ჭაშვი მიდის

გიორგი კახახიძე

განიერი მხრების რხევით
 გამოვიდა აივანზე;
 დილა არის, და იტაცებს
 მზის ამოსვლის სილამაზე.
 თითქოს, აი, სხივს იჭერსო,
 წინ გადადგა ფრთხილად ფეხი,
 მიდგა რიკულს და ეხოში
 გადაავლო თვალი ხეხილს.
 გადახედა წნელის ლობეს,
 თივის გროვას, რკინის ფიწალს...
 ეამა და გულით ლაღმა
 გაულიმა ცას და მიწას.
 დახეთ, მიწა რა კარგია!
 სულ სხვა არის მზეც ამ დილით.
 ჯერ გარემო არ ყოფილა
 ასე კარგი, ასე თბილი.
 სიერცეს ჯერ არ მოუხიბლავს
 ბრწყინვალეებით, როგორც ახლა...
 ამ მიდამოს, ამგვარ დილას
 ასე ტკბილად ბევრჯერ ნახავს.
 მკერდს და მკლავებს ამ ეხოში
 კვლავ ღიმილით ბევრჯერ გაშლის...
 დღეს კი მიდის მტკიცე გულით,
 მტკიცე ძალად წითელ ჯარში.
 დაძახილზე ზღვას გასცურავს,
 გადალახავს მთებს და მინდორს
 და, სამშობლოს მოყვარული,
 სამშობლოს მტერს არ დაინდობს.

ჩაუქრობელ ცეცხლს გაუჩნს,
 შორს, მისივე ცისქვეშ მოსპობს
 და შეჰმატებს ძლიერებით
 ძლიერებას კრემლს და მოსკოვს.
 რარიგ მალე დაეაჟაკდა! —
 უკვირს მამას, უკვირს დედას.
 — უღვაშებიც დაიმშვენა,
 რა ეშხი აქვს, აი, ხედავთ?
 რა საამოდ გაეშალა
 გულმკერდი და ფართო მხრები!
 აგერ ახლა არ დარბოდა
 პიონერის ყელსახვევით?!
 იღლეგრძელოს, გაიხაროს,
 მარად ჰქონდეს მტკიცე გული,
 იარაღით ხელში იწვევს
 დღეს სამშობლოს სიყვარული.
 სხვა ქვეყანა არ უნახავს,
 საბჭოების ქვეყნის გარდა,
 აქ გაივსო, გაიშალა
 და ვაჟკაცად გაიზარდა.
 მისი აზრიც, წრფელი გრძნობაც
 გამარჯვებულ შრომით ღვივის...
 მიდის ჯარში...თან წაიღებს
 დედისა და მამის ღიმილს.
 მიდის ჯარში, — დაძახილზე
 რომ მტრის ურდო ცეცხლით მოსპოს
 და შეჰმატოს ძლიერებით
 ძლიერება კრემლს და მოსკოვს.

3528



ორი მეგობარი

პოლონეთის ცხენოსანთა ესკადრონის მეთაური სტანისლავ ჰესლავსკი ომით უკმაყოფილო იყო დასაწყისში ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა. ბოლშევიკები უკანაც კი იხევდნენ, მაგრამ მას შემდეგ რაც ბოლშევიკებმა ბუდიონის ცხენოსანი ჯარის პირველი რაზმი ჩრდილოეთიდან გადმოიყვანეს, ყველაფერი გადატრიალდა. დაუღალავმა ცხენოსნებმა არც მეტი და არც ნაკლები, ათას კილომეტრამდის გამოიარეს და პოლონელები ისევ პოლონეთში გადაარქვეს. პან ჰესლავსკის ჯარისკაცები იმ ცხენები სულის ამოთქმასაც ვერ ასწრებდნენ. ჯერ გონებაც ვერ მოეკრიფათ, რომ ბროდთან ამოჰყვეს თავი, თითქმის ლგოვის ახლოს.

პატრონთაგან მიტოვებულ ძველ, აგურით აშენებულ კოშკთან ცხენ-დარბაზის ფანჯრიდან ოფიცერი მზით მოფენილ მინდვრებს გასცქეროდა. კარგად ამჩნევდა მდინარეს, რომელიც, მზით განათებული, ვერცხლივით ბრწყინავდა, და ამ მდინარის მოშორებით დასასვენებლად დამდგარ ცხენოსანთა რაზმს. იცოდა, რომ ისინი ხვალ ამ ადგილსაც მოაღწევენ და თვითონ იძულებული იქნება კვლავ ბარგი-ბარხანა აიკიდოს და უფრო ღრმად დაიხიოს თავის მიწაწყალზე. თვით მარშალმა პილსუდსკიმ ღირსეულად დააფასა სამხედრო ნიჭი ყოფილი ზემდეგის ბუდიონისა, რომელიც ამჟამად ცხენოსანთა ჯარის უფროსი იყო და პოლონეთის ნიჭიერ გენერლებსაც-კი ამარცხებდა.


ოფიცერს ქვევით ხმაურობა მოესმა, ფანჯარას მოშორდა და თავის მხლებელ ჯარისკაცს უბრძანა: გაიგე, რა ამბავია, რა ხმაურობააო.

ასეულის მზარეულმა გაიძრო გამტვრიანებული წაღები, შეიხსნა ჩამავებული ფეხსახვილები, მდინარესთან მივიდა და შიშველი ფეხით წყალს შეეხო. წყალი ცივი იყო. მზარეულის მეგობარი ჯარისკაცი მიხეილ პანტელევიჩი—ზორბა ტანის მზარბეკიანი ახალგაზრდა, უკვე წილამდის წყალში იყო შესული, სახეზე წყალს ისხამდა, ფრუტუნებდა, წინწკლები სცივოდა და თავსა და მკერდს ისაპნავდა.

—წყალში რატომ არ ჩამოხვალ? — ჰკითხა მან თედორეს. თედორემ პერანგი და შარვალი გაიხადა და ფრთხილად შევიდა წყალში. ქერა და გამხდარი იყო, თავის ამხანაგს წელამდის ძლივს შესწვდებოდა.

— მოდი გავსაპნავ, — უთხრა ჯარისკაცმა თედორეს, მიუახლოვდა და გულდასმით გაუსაპნა ზურგი.

უნდოდათ ჩამოებანათ მტვერი და ჭუჭყი, რომელიც გზაზე ხანგრძლივი სიარულის დროს დასდებოდათ. თავს წყალში ყოფდნენ, შემდეგ ფრუტუნებდნენ და იფურთხებოდნენ. ორივეს მზე ტანს უთბობდა. ზაფხულის მშვენიერი დღე იყო. წყალში ყურყუმალობდნენ, ცურავდნენ, წყალს აშხეფებდნენ ერთმანეთს და ბავშვებივით ცელქობდნენ, თუმცა თითოეული მათგანი ოცდახუთი წლისა მაინც იქნებოდა და ცოლშვილი დატოვებული ჰყავდათ შორს, სოფლად, მდინარე დონთან. მეგობრები ერთის მიწაწყლისანი იყვნენ, იმათი სოფლები რამდენიმე კილომეტრით იყო ერთმანეთს დაშორებული. ისინი ჯერ ისევ ცარიცინთან დაუმეგობრდნენ ერთმანეთს, იქ, სადაც ბუდიონის კორპუსი სტალინსა და ვოროშილოვს ეხმარებოდა, რომ გენერალ კრასნოვის ჯარი მოეგერიებინათ. მაშინ ერთის ბრძოლის დროს თედორე პროკოპენკოს სამეგავრო სამზარეულო ჩამორჩა თავის რაზმს და ერთ ხრამში ჩარჩა. თედორე თავს ძალას ატანდა, წელს იწყვეტდა, ცდილობდა როგორმე ამოეთრია ტალახში ჩარჩენილი სამზარეულო. ცხენს უჯავრდებოდა, სამზარეულოს უკანიდან აწვებოდა, ხელნას ეკიდებოდა, მაგრამ



წყალს აშხეფებდნენ ერთმანეთს და ბავშვებივით ცელქობდნენ.



ყველაფერი ამაო იყო. თეთრების ცხენოსანთა სა-
მეთვალყურე ჯგუფი მინდვრად მოაგვლევდა ცხე-
ნებს და თედორეს უახლოვდებოდა. ეს ცხენოსნე-
ბი ხმალამოწვდილნი მოქროდნენ, თედორემ კი კარ-
გად იცოდა, რა ადვილი იყო ხმლით აჩეხვა ფეხზე
მდგომი ადამიანისა. როცა ჯარისკაცები ძალიან
მოუახლოვდნენ, თედორემ ხელები შუბლთან მიი-
ტანა, რომ თავი დაეფარა ხმლის დაკვრისაგან, მაგ-
რამ იმისთვის ხმალი არავის შემოუკრავს, ის ჯა-
რისკაცები სადღაც მიიმაღნენ. თედორემ თითებსა
და თითებ შუა დაინახა, რომ ერთი უზარმაზარი
ყაზახი თეთრ ჯარისკაცებს მისდევდა მინდვრად და
მარჯვნივ და მარცხნივ ხმლითა ჰკაფავდა. ორი
მათგანი ცხენიდან გადმოვარდა და დედამიწაზე
დაეცნენ, დანარჩენები კი მინდორში შორს მიაჭე-
ნებდნენ ცხენებს. ეს ყაზახი ჯარისკაცი ამის შემ-
დეგ დაბრუნდა, ცხენიდან გადმოვიდა, დაავლო
ვეებერთელა ხელი სამგზავრო სამზარეულოს თვალს
და ტალახიდან ადვილად ამოათრია.

— გზა განაგრძე, — უთხრა თედორეს. — რომელ
ესკადრონს ეკუთვნის?

— მეორეს.

— კიდევ შეგხვდებით ერთმანეთს. გასწი! — დას-
ძახა იმან ცხენს ისეთის საშინელის ხმით, რომ
ცხენმა უკებ გაიწია და სამგზავრო სამზარეულო
ისე გააქანა, რომ პროკოპენკო კინლამ გადმოავლო.
ორიოდე დღის შემდეგ იმ ჯარისკაცმა მოძებნა
თედორე. და ამან მაშინ გაიგო, რომ ის ყაზახი
მიხეილ პანტილევი იყო. მას შემდეგ ეს ორნი ისე
დამეგობრდნენ, რომ ერთმანეთს აღარა შორდებოდ-
ნენ. ბუდიონისთან ერთად ეს ორნიც ვორონეჟში
შევიდნენ, ქარბუქსა და ყინვაში ეგორიევსკთან
იყვნენ და აქედან დონის როსტოვი დაიპყრეს. რაზ-
მის შესერების დროს ბუდიონი გარმონს უკრავდა,
და ჯარისკაცები მამაცად ცეკვავდნენ. თვითონ თე-
დორე და მიხეილი, ერთი დიდი და მეორე პატარა,
ჩამოუვლიდნენ ხოლმე დონის ყაზახთა საცეკვაოს,
მათ ახლოს მყოფთა გასამხიარულებლად. ამათაც
გამოიარეს ის დიდი და მძიმე გზა, რომელიც გან-
ვლო ცხენოსანმა ჯარმა პოლონელთა ფრონტზე.

და ეხლაც, თავისუფალ დროს, მათ ერთად
მოაღწიეს ამ პატარა და ჩქარ ანკარა მდინარეს,
რომელშიაც ჰყუჟპალობდნენ და ყურყუმალობდნენ...
უკვირდით, რომ ამათ ამხანაგებს მკვდარივით ეძი-
ნათ და ისვენებდნენ ჭალაში მუხნარის ჩეროს ქვეშ.
მზე მაღლიდან დაჰყურებდა იმ ადგილს, მდინარის
იქით მშვიდობიანად სძოვდნენ ძროხები და იმას
იქით კიდევ ჩირგვებში ჩიტები ჰიკიკებდნენ და
ძველებური ციხე-დარბაზი მოჩანდა წვეტიანი კოშ-
კებით, ვიწრო სარკმლებითა და სადროშე ჯოხებით.

უეცრად თედორემ რაღაცა საშინელი და მოუ-
ლოდნელი დაინახა, პირში დაგუბებული წყალი
სასულეში გადაუვარდა და მიყრუებულის ხმით
დაიძახა:

— მიშა, პოლონელები!

— სტყუი! — არ დაუჯერა ჯარისკაცმა, მაგრამ
ამ დროს თვითონვე მოჰკრა თვალი, რომ ციხე-
დარბაზიდან მდინარისაკენ ცხენები მოჰქროდნენ. ეს
ცხენოსნები აშკარად პოლონელები იყვნენ, რადგან
მათი ულანური ქუდები შეამჩნია.

მეგობრებმა ნაპირს მიაშურეს. ჩქარი მდინარე
გზას უკრავდა მათ. ცხენოსნებმა უკვე წყალს მოაღ-
წიეს და იმათ უახლოვდებოდნენ. გაქცევაზე ფიქრი
დაგვიანებული იყო. პოლონელები რაღაცას გაჰკი-
ოდნენ. მეგობრები შეჩერდნენ. პოლონელები გარს
შემოეხვივნენ და მდინარის მეორე ნაპირისაკენ
ერეკებოდნენ.

— მახეში გავიბით, — თქვა ჯარისკაცმა. — ტანი-
სამოსის ჩაცმა მაინც დაეცლიათ მაგ წყეულებს!

ერთმა პოლონელთაგანმა, რომელსაც, აშკარაა,
რუსული ენა ესმოდა, ცხენს დიხები შემოჰკრა,
დაავლო ხელი იმათ ტანისამოსს და მეგობრებს
შარვლები და ხალათები მიუყარა. პოლონელები
შეჩერდნენ, ვიდრე დატყვივებულები შეიმოსებოდ-
ნენ, შემდეგ კი, როცა ამათ ტანისამოსი ჩაიცვეს,
ორივენი ციხე-დარბაზისაკენ გაირეკეს.

ოფიცერი სწორედ იმ დროს ჩავიდა ეზოში, როდეს-
საც ულანებმა ტყვეები მორიგეს. მეგობრები ცხენების
ფეხებით გაჩქეილ ყვავილის ბუჩქთან იდგნენ, რომ-
ლის გარშემოც დამტვრეული ყვავილები ეყარა.
ორივენი ფეხშიშვლები იყვნენ და ამიტომ ხშირად
იცივლიდნენ ფეხს. ერთმა ულანთაგანმა რაღაც უთხ-
რა ოფიცერს, და იგი ტყვეებს მიუახლოვდა. ოფი-
ცერს დიდი ცნობისმოყვარეობა ეტყობოდა. პანი
პშესლაგსკი ბოროტი კაცი არ იყო, მაგრამ მეტის-
მეტად მოწყენილად გრძნობდა თავს და უხაროდა,
რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ამ ერთად-
ერთს გასართობს წააწყდა. ამასთანავე ძლივს დაი-
ნახა ცოცხალი მტრები, ეს საშინელი ბუდიონელე-
ბი, რომელნიც აგერ უკვირ რამდენიმე დღეა პოლო-
ნეთის მიწაწყალზე მამაცად ერეკებოდნენ იმის
რაზმს. სულაც არ იყვნენ ეს ორნი საშიშარნი, დი-
დი კიდევ ჰგავდა ბოლშევიკს, პატარას-კი ბოლშე-
ვიკებისა სულ არა ეცხო რა. ერთ წუთს ოფიცრისა
და თედორეს თვალები შეხვდნენ ერთმანეთს, და
თედორემ დაინახა იმის ნაცრისფერი თვალები, ლაჟ-
ლაჟა ლოყები და აბზეცილი ცხვირი.

„გოჭსა ჰგავს!“ — გაუელვა ფიქრმა თედორეს და
გვერდი შეაქცია. ოფიცრის წინ გამოჰიმული იდგა
და თვალებში შესცქეროდა ერთი ულანთაგანი, რომ-
ელიც, როგორც ეტყობოდა, ფელდფებელი უნდა
ყოფილიყო და ბრძანებას ელოდა.


ოფიცირმა საქმიანი გამომეტყველება მიიღო და
თითქმის წმინდა რუსული ენით შეეკითხა:

— მეთაურები ხართ?

მეგობრები დუმდნენ.

— მეთაურები ხართ მეთქი, გეკითხებით? — გაუ-
მეორა ოფიცერმა. მეგობრები ხმას არ იღებდნენ.

— კომუნისტები ხართ? — ჰკითხა ოფიცერმა, რომ-
ელიც, როგორც ეჩვენებოდა, მოთმინებას ჰკარგავდა.



— მეთაურები ხართ?

— დიახ!—მტკიცედ უპასუხა პანტელეევმა და თედორეს გაოცებულ თვალებს რომ შეხედა, გაიმეორა: „დიახ, კომუნისტები ვართ“.

— რაო, ბუდიონის ჯარში ყველანი კომუნისტები არიან?

— დიახ, ბუდიონის ჯარში ყველანი კომუნისტები არიან.—ამაყად უპასუხა ჯარისკაცმა.

— რიცხვი?

ჯარისკაცი დუმდა.

— რაოდენობა? შენ გეკითხები. შენ თვითონ რომელ რაზმსა და ესკადრონში ირიცხები?

პანტელეევი დუმდა.

— პასუხის მოცემა არ გინდა? შენა?—მიუბრუნდა იგი თედორეს. თედორემ იგრძნო, რომ მეგობარმა თავისი უზარმაზარი ხელი მკლავში მაგრად მოუჭირა. ამ დროს ოფიცერიც მიუახლოვდა და პირისპირ შეეკითხა:

— შენ რომელ რაზმსა და ესკადრონს ეკუთვნი? ოფიცერს თვალები დაურგვალდა და მრისხანება დაეტყო.

— თანამდებობა?

თედორე დუმდა. ძარღვების კანკალმა აიტანა. ოფიცერმა რაღაცა უთხრა ფელდფებელს, და იგი ულანებისაკენ გაემართა.

— მითხარი, რა თანამდებობისა ხარ, და გაგაუთავისუფლებ!—თითქმის და უყვირა ოფიცერმა თედორეს.

მზე უფრო მაღლა ავიდა და ციხე-დარბაზის კოშკს ოქროს სხივები მოჰფინა. თედორეს ეგონა, ვხედავ, რომ ჭალაში, მდინარის გადაღმა, ამხანაგებმა გაიღვიძეს და ჩვენ გვეძებნო. ფელდფებელი დაბრუნდა, იმას თან მოჰყვნი ულანები, რომელნიც თოფებს ტენიდნენ. თედორე მიხვდა, რისთვისაც აწხადებდნენ თოფებს. სიკვდილი არ უნდოდა, სურდა დაეძახნა: ახალგაზრდა ვარ, სიცოცხლე მწყურრიან, მინდა ვიცოცხლო და გავიხარო... .

— მაშ არაფერს იტყვი?—დაიძახა ოფიცერმა და ფელდფებელს პოლონურად რაღაცა უთხრა. ფელდფებელი მივიდა ტყვეებთან და ანიშნა, რომ ციხე-დარბაზის კედელთან დამდგარიყვნენ. ციხე-დარბაზის კედელზე მზის სხივები დახტოდნენ. თედორეს თავბრუ დაეხვა და კინაღამ წაიქცა. მეგობარმა მხრებში მოჰხვია ხელი, შეამაგრა და კედლისაკენ წაიყვანა.

— ჩვენ ბუდიონელები ვართ, თედორე, და მაგრად იყავი.

ზურგიით კედელს მიეყრდნენ. მზე ახლა თოფების გაშვებულ ლულეებზე ბრწყინავდა.


— მაგრად იყავ, თედორე ორჯერ სიკვდილი შეუძღვებელია, ერთს კი კაცი ვერ ასცდება. ბუდიონის ცხენოსან ჯარს გაუმარჯოს! ვაშაა!

ოფიცერმა ხელი აიქნია, ერთბაშად გაისმა ულანების სროლა, და თედორე თავის მეგობრის სხეულზე პირქვე დაეცა.

სალამოს ხანს ბუდიონის ცხენოსანთა ჯარის ერთმა რაზმთავანმა პოლონელები გამოდევნა ციხე-დარბაზიდან, გააქცია და დაუწყო დევნა. ციხე-დარბაზის ერთ კედელთან ბუდიონის ჯარისკაცებმა ყვითელ ქვიშაზე ნახეს თავიანთი ჯარისკაცი და მზარეული დახოცილები. მკვთარ ჯარისკაცს ხელი ისევ ჩავლებული ჰქონდა თავისი მეგობრისათვის.

ბუდიონიმ ბრძანება გასცა, რომ ორივენი სამხედრო წესითა და პატივით დაემარხათ და იმათ სამარეზე სამჯერ დაეცალათ თოფები.

თარგმანი ა. ახნაზაროვისა.





პატარა ჯემალი კლდის ნაპირზე ზის და შორს რკინიგზის სადგურისაკენ ნაღვლიანი თვალებით გაიყურება.

ჯემალის საყვარელი სალამური ჯიბეში უქმად დევს, და მის სამ თხასა და ერთ ცხვარს, მგონი, უკვირთ, რომ ჯემალი, ჩვეულებისამებრ, ტკბილად არ არაკრავებს.

თხები ბალახს მოკორტნიან, მოკორტნიან და ზოგჯერ გაშტერებული თვალებით ჯემალს ამოხედავენ.

— ბეე! — კიკინებენ თხები, თითქოს უკმაყოფილობით, მაგრამ ჯემალს მათი კიკინი სულაც არ ესმის: მწარე ფიქრებით გართული ბავშვი სადგურს თვალს არ აშორებს.

ცოტა რომ მოსალამოვდება, ჯემალი თხებს ფაციფუციტ შინისაკენ გაირეკავს, გომურში დააბინავენ, სახლსაც დიდ კლიტეს დაადებს და ბალანაბრებული დიდი ძაღლით სადგურისაკენ ეშურება.

მამას ელის ჯემალი. ქალაქში სამი დღით იყო წასული და აგერ შეექვეს დღეა ჯერაც არ დაბრუნებულა.

ჯემალი ოთხი დღე კი მოთმინებით უტყდიდა, მაგრამ შემდეგ გულში საშინელი მოუსვენრობა რომ შეეჭრა, მეხუთე დღიდან მატარებლის შესახვედრად თვითონ იწყო სადგურზე რბენა.

შორიდან მომავალი მატარებელი რომ დაიკვივლებს, ბავშვს გული ისე უფრიალებს, მატარებელიც იმ წამს ისე ძლიერ უყვარს, რომ მზად არის ორთქლმავალს აკოცოს, მაგრამ ჯემალისთვის ის უფრო მწარეა, მატარებლის მოსვლის შემდეგ აფუსფუსებული ხალხი რომ აქეთ-იქით გაიფანტ-გამოიფანტება, მატარებელიც შორს გასრიალდება და დაცარიელებულ ბაქანს ისა და მისი კუდამოძებული ძაღლი შერჩებიან.

რალას იზამს ის! სევდისაგან კრიჭაშეკრული ბავშვი ბაქანიდან უხმოდ გამოტრიალდება, მაგრამ როგორც კი სადგურს გასცილდება, ჯემალი ტი-

რილს ამოუშვებს, და ბინდაცემულ მინდორს მისი ქვითინი დიდხანს აყრუებს.

ჯემალის ტირილზე ძაღლიც საშინლად წუხს, ისიც წუწუნს მოჰყვება, ხან გვერდით მისდევს, ხან ჩამორჩება და უკან იხედება, თითქოს ისიც ვილაცას ელის, ხან კი ჯემალს წინიდან უყელვს, უკანა ფეხებზე შემდგარი წინა თათებს მხრებზე შეაწყობს და ბავშვს წკმუტუნით თავპირს ულოკავს.

ასე რამდენიმე დღე დააღამა ჯემალმა, ბევრი შიში და ძრწოლა იგემა უპატრონოდ დატოვებულმა და ბოლოს გადაწყვიტა, რომ კოლმეურნეობისათვის ეცნობებინა თავისი ამბავი, მაგრამ მეხუთე დღეს კოლმეურნეობის გამგეობამ თვითონვე მოიკითხა მუსტაფა,

რადგან მარჯვე, ერთგული მუშაკის სიტყვის გადასვლას ისინი არ იყენენ ჩვეულნი. ბავშვის მდგომარეობა რომ ნახეს, გადაწყვიტეს ორი დღე კიდევ მოეცადათ და შემდეგ თბილისში კაცი გაეგზავნათ ამბის გასაგებად.

სწორედ ამ ღამეს ჯემალი მარტო დარჩა, ბავშვმა კარი შეიკეტა

და ძაღლს კისერზე სიხარულით მოეხვია:

— ჩემო ხიბა, მამას მომიძებნიან, იქნებ იპოვნონ და...

ბავშვმა ჩუმად ამოუშვა ტირილი, რადგან ხმამალა ტირილისაც კი ეშინოდა. ამ დროს კარი ვილამაც დააკაკუნა. ძაღლმა შეჰყვია და კარებს ეცა. ჯემალი აკანკალდა.

— ჯემალ, აი ჯემალ, — შემოესმა ბავშვს ვილაცის ხმა. ჯემალმა ძაღლი უკან გააგდო და ნამტირალევი ხმით შეეკითხა, ვინა ხარო.

— მე ვარ, ჰასანა, გააღე კარი.

ჯემალს თმები ყალყზე დაუდგა: ბიძის ხმა იცნო. თითქოს გაეხარდა, მაგრამ ამავე დროს შიშის ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. ეს ის ჰასანა იყო, რომელიც ამ ერთი წლის წინათ მის მამას, მუსტაფას, დიდი ჩხუბითა და დავიდარაბით გაე-



პატარა ჯემალი კლდის ნაპირზე ზის...



ყარა. ჰასანა მუსტაფას კოლმეურნეობაში ჯმესვლის წინააღმდეგი იყო, ჯემალის მამას სახლკარსა და ოჯახის ავეჯეულობაში ედავებოდა, და რაკი მუსტაფამ კოლმეურნეობაში შესვლა არ დაიშალა, ერთ დღეს, როცა მუსტაფა სადღაც წავიდა, მან კოლმეურნეობაში შესაყვანი ხარები შეაბა, რაც კარგი რამ იყო ოჯახში ურემზე დაუდო, და თავის ცოლშვილით სხვაგან გადაიკარგა. მას შემდეგ გაქრა ჰასანას გზა-კვალი. მუსტაფა კოლმეურნეობის საუკეთესო მშრომელ წევრად გადაიქცა და ოჯახის ის დანაკლისი, რაც ჰასანამ მიაყენა, მოკლე ხანში აიხაზაურა. ისიც ახსოვს ჯემალს, რომ ბიძამისი დიდი მუქარით წავიდა სახლიდან, და აი, დღეს ერთადერთი მახლობელი, მათი ოჯახის წევრი, უცებ გამოჩნდა. ჯემალი შიშმა აიტანა: ბავშვმა არ იცოდა ბიძის მოსვლა საკეთილო იყო, თუ უბედურების მომასწავებელი.

ათრთოლებულმა ჯემალმა კარის გაღება რომ შეაგვიანა, ჰასანამ ისევ დააკაკუნა და ჯემალს განმეორებით შემოსძახა:

— გააღე, ჯემალ, მამიშენის ამბავი მოგიტანე.

ბავშვი ახლა კი აჩქარებით მივარდა კარს, ურდული გასწია, ჩანგალს ხელი აჰკრა და გააღო.

ძალლი ყვეფით მიიჭრა შემოსულ ჰასანასთან და უმაღ ხმა ჩაიწყვიტა, რადგან ჰასანა იცნო და სიხარულით კუდის ქნევასა და წკმუტუნს მოჰკვია.

— გამარჯობა, ჯემალ, მარტოკა ხარ?

ახოვანი კაცი კარებში ძლივს შემოეცია. შემოვიდა, ჯემალს ხელი გაუწოდა და ტახტთან მიიყვანა.

პატარა სანათური დაობლებულ სახლს მოწყენილად აშუქებდა. ჰასანა ტახტზე ჩამოჯდა, ჯემალიც გვერდზე მოისვა და ყრუდ გაუმერარა:

— მამაშენის ამბავი მოგიტანე, — ჰასანამ უბიძან დაკეცილი ქალაღდი ამოიღო.

— სად არის მამა? მითხარი, რა მოუვიდა? — წამოიჭრა ჯემალი და მშფოთარე თვალებით ჰასანას ხელი გაუწოდა.

— სს... აბა წყნარად, ჯემალ, რაც მოხდა, მოხდა. თუ ჰკვიანი ბიჭი იქნები, უმამოდაც კარგად გაიზრდები, — მოურიდებლად მიახალა ჰასანამ და ბავშვს შოღუშული სახით შეხედა.

ჯემალმა დაიკვნესა, მაგრამ ჰასანამ დაუტია:

— გაჩუმდი მეტქი, ჯერ ყური დამივდე! — რიხით უთხრა მან და თან ქალაღდი გაშალა.

— აი ეს ქალაღდი სადგურში ნაცნობმა ფოსტალიონმა გადმოძცა. თბილისის მილიციიდან ჩემს სახელზე მოსულა. გუშინწინ იქ ვიყავ და... — ჰასანა გაჩრდა, თითქოს ამ მტერ-მოყვარე კაცსაც ეზარებოდა ამ ამბის თქმა.

ბავშვმა ველარ მოითმინა, ისევ ზეზე წამოვარდა და გადიდებული თვალებით დაუწყო ბიძას ცქერა.

— ერთი სიტყვით, — განავრძო ჰასანამ, — მამაშენი აღარ არის, ავტომანქანას გაუტანია.

ჯემალმა გულში ხელი ჩაიკრა და ბიძის მტუნებთან ჩაიკეცა. ძირს დაცეპულ ბავშვს ჰასანამ ხელი დაავლო, ტახტზე დააწვინა და პირმომტვრეული ლიტრიდან წყალი ასხურა, ყურების სრესა დაუწყო. გარეთ გაგდებული ძაღლი ამ დროს საშინლად წკმუტუნებდა და კარებს ძაღზე აფხაჭუნებდა. როგორც იყო, ჰასანამ ჯემალი მოასულიერა და დასაწყნარებლად ასე უთხრა:

— ნუ გეშინია, ჯემალ, მარტო არ დაგტოვებ, ზეგ ჩემი ცოლშვილით ისევ აქ გადმოვსახლდები, ჩემი ძმის ოჯახსაც მოუფელი და შენც ვაგზრდილი.

მართლაც, მესამე დღეს ჰასანა თავისი ბარგი-ბარხანით, გეჯებით, გოდრებით, აყირავებული აკენითა და ურემზე გამობმული დიდი ქოთაკით ჯემალს კარებზე მოადგა. მოსვლისთანავე ჰასანას ძაღლსა და ჯემალის ძაღლს ისეთი ჩხუბი მოუვიდათ, რომ წყლით ძლივს ვააშველეს.

— შავ დღეს დაგაყენებ, პატარა დამაცადე! — უშველებელი ლოდი ესროლა ჯემალის ერთგულ მეგობარს გაბოროტებულმა ჰასანამ და ფეხებაკანჭურებული ძაღლი საშინელი ყმუილით შორს გააგდო.

ჯემალს გული ჩასწყდა, მაგრამ რაღას იზამდა.

პირველ ხანებში, სანამ ჯემალს კოლმეურნეობიდან მისი მამის, სტახანოველ მუსტაფას წილ დოვლათს, სურსათ-სანოვავესა და საპაიო ფულს გამოათანიებდნენ, მანამ ბავშვს უყვავებდნენ, მაგრამ როცა ეს ყველაფერი გადაუყლაპეს, იმ დღიდან ბავშვი აითვალწუნეს და მოსვენებას აღარ აძლევდნენ: პატივს გოდრებით აყრევიებდნენ, კოკებით წყალს აზიდვინებდნენ და ყანას აბარვინებდნენ. ამავე დროს ბავშვს კიღობანიც დაუკეტეს: ბევრ პურსა ჭამს და ჭამის ფასსაც არ აკეთებსო. მიხდვრიდან დაბრუნებულ ჯემალს ღამე დერეფანში აძინებდნენ, სახლშიაც აღარ უშვებდნენ. ჯემალი მოთმინებიდან გამოვიდა. ერთხელ ბიძას სიტყვა შეუბრუნა და ასე გამოუცხადა:

— თქვენ ჩემს სახლში ხართ და უფლება არა გაქვთ ასე მომიქცეთო. თანაც დაექადა: წავალ და, სადაც საჭიროა, იქ გამოვაცხადებო. ამაზე ბიძამ ისე სცემა, რომ ბავშვი მძიმე ავადყოფი შეიქნა.

მისი პატრონი ჰასანას ხუთი წლის პატარა ბიჭი და ერთგული ძაღლი იყვნენ. ჰასანას პატარა ბიჭს დედ-მამა ბარემ უჯავრდებოდა, ჯემალთან ნუ მიდიხარო, რამდენჯერმე კიდეც გალახეს, მაგრამ ბავშვი თავისას არ იშლიდა, იხელთებდა თუ არა დროს, ჯემალთან ქურდულად მიიპარებოდა, თავის წილ პურს მიუტანდა, აკოცებდა და ისევ უკანვე ვარბოდა.

ძაღლი კი სულ გვერდზე უდგა, ავადყოფ ბავშვს თვალებში შესცქეროდა და უცნაურად წკმუტუნებდა.

ბოროტ ჰასანას ესეც შეუშრდა და დროს ელოდა. ერთ დღეს მძინარე ჯემალს საშინელი ყმუი-

ლი შემოესმა. ავადმყოფმა ზეზე
ძლივს წაძოიწია. ყმული მალე
შეწყდა, და დასუსტებული ჯე-
მალი ისევ ლოგინზე მიწვა. ცო-
ტა ხნის შემდეგ პატარა ბიჭი
ნამტირალევი თვალებით შემო-
ვიდა, ჯეძალის ლოგინთან
მიიჭრა და ჩუმად უთხრა:

— ჯემალ, მამამ შენი ძალი
ხრამში ჩაიტყუა და იქ ნაჯახით
მოკლა, შრატო რად შემიტამაო.

ბავშვი შეშინებული სახით ისევ
სახლში შევარდა, დედამ არ და-
მინახოსო.

ჯემალმა თავზე საბანი წაი-
ხურა, იტირა, იტირა, გული ჩუ-
მად მოიოხა და გადაწყვიტა:
ფეხზე გავლას შევძლებ თუ
არა, აქაურობას მოვმორდებო.

სულერთია, ესენი აქ არ დამაყენებენ, მამაჩემსაც
ამ სახლკარის დასაჩემებლად ეჩხუბებოდნენ და მე
რალა კეთილს დამაყრიანო.

ასეც მოიქცა. ერთ ბნელ ღამეს, როცა ჰასანამ
სახლის კარი დასაძინებლად მაგრად შეიკეტა, ჯე-
მალმა კარგახანი იტვრინა და როდესაც ჰასანას
ხვრინვა შემოესმა, ჩუმად გააღო დერეფნის კარი
და გამოვიდა. ჯემალს ბოლმა ახრჩობდა, მაგრამ ხმას
როგორ ამოიღებდა. ეზო უჩუმრად გამოიარა, ბი-
ლიქს დაადგა და შარავზაზე რომ გავიდა, თავის
საყვარელ მამის სახლს მოხედა და ველარ მოითმი-
ნა, უხმოდ ატირდა და უფრო ხარბად დაუწყო
ცქერა.

აგერ ლამაზად დატკეპნილი მათი ბანი, სადაც მას
კოჭაობა უყვარდა, მარცხნივ აკოკოლავებული ბუ-
ხარი თითქოს კაცივით წამომდგარა და ჯემალს
საყვედურით ეუბნებდა:

— არა გრცხვენია, ჯემალ, სად მიდიხარ, მამი-
შენის ღვაწლს ვგრე იოლად ანებებ თავსა?

ირგვლივ სიბნელეა, ახლომახლო მეზობლები
არავინა ჰყავს, სოფელი ქვემოთ, მთის ძირშია გა-
შენებული. ამ წუთს ნიავე დაიძრა, და მათი ეზოს
გატიტვლებულმა ფშატების კენწეროებმა ისე დაიწყ-
ეს რხევა, თითქოს გაპარულ ბავშვს სამღურავით
თავს უქნევდნენ და ეუბნებოდნენ: — სად მიდიხარ,
ჯემალ, არა გრცხვენია, რომ გვტოვებო. ჯემალს გუ-
ლი მწუხარებით ემსჭვალება, მიდის, მაგრამ თვითო-
ნაც არ იცის სად მიდის, მიდის და ზურგისაკენ კი
საყვარელი მიდამოები რჩება, წინ, შორეული მთის
ძირიდან, რკინიგზის სადგურის ელექტროშუქი და-
მის წყვილიაღში თვალს ისე ეშმაკურად ხუჭავს, ისე
ციმციმებს, თითქოს ჯემალს თავისაკენ დაჟინე-
ბით ეძახდეს: ჩქარა გადმოადგი ფეხი, ჩქარა, რა-
ღას იგვიანებო.

ოთხი საათის შემდეგ ჯემალი უკვე სადგურზე
იყო. ელექტრობით გაჩაღებულმა სადგურმა, ხალ-
ხის ხალისიანმა მოძრაობამ ჯემალი თითქოს ცო-




პატივს გოდრებით აყრევიანდნენ...

ტაოდნად გაამხნევა, მაგრამ ბავშვი ისე იყო დალ-
ლილი, რომ თავისთავისთვის კითხვა არ მიუცია,
სად უნდა წასულიყო და ან რა უნდა ექნა. დაქან-
ცული ბავშვი შევიდა თუ არა საერთო დარბაზში,
ჯერ ყველა შეათვალღერა, მერე ერთერთ დაჩრ-
დილულ კუნჭულში მიჯდა, შეტუთული ჰაერით
გამთბარი კედელს მიეყრდნო და იმ წამსვე ჩაეძი-
ნა. ღამის პირველი საათი იყო, როცა ფოსტის მა-
ტარებელი ბაქანთან გრილით შემოვიდა და ხუ-
თი წუთის შემდეგ ბაქოსაკენ ისევ ზათქითა და
ზანზარით დაიძრა. სადგურზე მოძრაობა მიწყნარ-
და, და აი ამ დროს დარბაზში ორი თეთრხალა-
თიანი ქალი შემოვიდა. იმათ აქეთ-იქით ცქერა
დაიწყეს და ჯემალი რომ შეამჩნიეს, იმ წამსვე თავ-
ზე წამოადგნენ და ნელი შეხებით ღვიძება დაუწყ-
ეს. ჯემალმა შიშით თვალეები რომ დააჭყიტა,
ორივემ გაუღიმა, დაუყვავეს, თანაც ხელი ისეთი
სინაზით ჩასჭიდეს, რომ ჯემალს უარესად გაუკ-
ვირდა.

— გამიშვით, გამიშვით მეთქი, მე თვითონ წა-
ვალ, თუ აქ ყოფნა არ შეიძლება, — წამოიყვირა
ბავშვმა და გაიწია.

— ნუ გეშინია, პატარა, — თქვა მალაღმა ქალმა, —
ჩვენთან წამოდი და თბილად დაგაძინებო. აბა ნა-
ხე, რა კარგია, რამდენი შენისთანა პატარა ბავშვი
გვყავს. დატანჯულ ბავშვზე ამ დაყვავებამ ისე,
იმოქმედა, რომ ნებას დაჰყვა, თანაც თავი ვე-
ლარ შეიმავრა და გულამოსკვნილი ტირილი
ამოუშვა.

ცოტა ხნის შემდეგ ჯემალის გაკვირვებას საზლ-
ვარი არა ჰქონდა. მეტად სუფთა, თბილ და გაკ-
რიალეზულ ოთახში შეიყვანეს. პირველ ოთახში
მესამე თეთრხალათიანი ქალი ნამტირალევი ბავშვს
ტკბილი ღიმლით შეხვდა. მას ხელში კალამი ეჭი-
რა და დავთარში რაღაცას წერდა. ჯემალს გამოჰ-
კითხეს სად მიდიოდა, ვინ იყო, რომელ მატარე-
ბელს მოჰყვა, მაგრამ როცა გაიგეს, რომ ბავშვი



ჯემალი უკვე სადგურზე იყო.

სულ ფეხით მოდიოდა, ქალების მზრუნველობა ერთი-ორად გაძლიერდა. ჯემალს ხელად გახადეს, საბანაო ოთახში შეიყვანეს, თეთრად მოლაპლაპე აბაზანაში ჩასვეს და ჭუჭყიანი ბიჭი საპნითა და ქისით გაბანეს. მერე თავიანთი სუფთა ღამის პერანგი ჩააცვეს და სპეტაკ ლოგინში თბილად ჩააწვინეს.

უკვირს ჯემალს, გაცეხებით ღამის თვალები გადმოსცვივდეს. თავი სიზმარში ჰგონია, სახლში ბიძის ყვირილი და მუქარა, ნახევრად მშვიერ ბავშვს შინ შესვლისაც კი ეშინოდა, აქ კი... არა, ეს უსათუოდ სიზმარია. მაგრამ აგერ სხვა ბავშვებიც ისევე სუფთად წვანან, როგორც ის. ყველას სძინავს ტკბილად, მოსვენებით.

— ნეტავი ვიცოდე, ეს რა ამბავია ჩემს თავს? დაჟინებით ფიქრობს ჯემალი და ახლა მეორე ოთახისაკენ იცქირება. იქ სულ პაწია ბავშვების საწოლები დვას. ორი პატარა ბაღლი წევს, ერთს პირში რეზინის რგოლი უდევს და სიხარულით ჭყლოპინებს. თავზე ახალგაზრდა ქალი ადგია და უტინის. განაპირა საწოლზე სხვა ბავშვს საბანი გადაუხდია და თეთრწინსაფრიანი მორიგე ქალი ფრთხილად ახურავს.

მეორე დილას, როცა მზე ამოვიდა და ოქროს სვეტებად დაადგა ჯემალის საწოლს, უმალ ღამის მუსიკის ხმა გაისმა, და ჯემალმა თვალები გააჭყიტა. მას გუშინდელი ამბავი გაახსენდა, ლოგინზე წამოჯდა და აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. ოთახებში მხიარული ფუსფუსი იყო. ზოგიერთ ბავშვს ჩაეცვა და სათამაშო ოთახში გასულიყვნენ. ყველას სათამაშოები დაეთითოვებინათ და თავისთვის ღამაზად ერთობოდნენ, თავისათვის თამაშობდნენ.

— კუკუ...კუკუ!—ყვირის ერთი პატარა ბიჭი და მატარებელს ბაწრით ეწევა. მეორეს ჯოხივით რალაცა უჭირავს, ხელებს მაღლა სწევს და შვილდისარით რომ გაისვრის, ჯოხი უცებ მწვანე კალთებს შლის და პარაშუტი ნელნელა დაბლა ეშვება. თვალბდაჭყეტილი დიდი დედოფლები კუთხეში სტუმრებივით ჩამოწკებილან. სულ პაწია გოგონას

ერთერთი დედოფალა დაუთრევია და თმებით ეწევა, უხარია და ჭყლოპინებს, ხან თავის ტიტველა ფეხს დასწვდება პაწია და პირისაკენ ეზიდება, ალბათ, ნამცხვარი ჰგონია.

ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც ახალგაზრდა ქალი შევიდა, პიანინოს თავი ახადა და კლავიშებზე თითები ღამაზად აათამაშა. პიანინოს ხმის გაგონებაზე ჯემალს თავით ფეხებამდის ჟრუნტელმა დაურბინა. ბავშვს პიანინო რალაც ჰგონია, მაგრამ თვითონაც არ იცის რა ჰგონია, გაცეხებული თვალებს აჭყეტავს და აღარ იცის რა ჰქნას.

— აი შენი საცვლები, შენი ტანისამოსი,—ეუბნება ამ წამს თავზე წამომდგარი ქალი, და თავის ჭუჭყიან ტანისამოსს ჯემალი ველარ სცნობს: გარეცხილი, მშვენივრად გაუთოებული დაგლეჯილი პერანგი და მისი შარვალი.

— ოი, რა ვქნა,—ფიქრობს გაკვირვებული ჯემალი,—ეს სიზმარია, თუ ცხადად არის!

— მოიცა ბიჭუნო, ერთ წამს, — მიუტრიალდა ისევ ის ქალი, — შენ ღამე რალაცას კრუსუნებდი, ერთი ვნახოთ, სიცხე ხომ არა გაქვს.

ამ სიტყვებით ჯემალს ქალმა იღლიაში თერმომეტრი გაუკეთა:

— აბა, ცოტა ხანს ასე იყავ, ხელს ნუ გაანძრევ, — ალერსით ეუბნება იგი და თან მკლავს უსწორებს.

ათი წუთი სწრაფად გავიდა.

— აი ყოჩაღ, არავითარი სიცხე არა გაქვს, — ეუბნება ქალი, თერმომეტრს ისევ უჯრაში ინახავს და ბავშვს მკლავზე ხელს ჰკიდებს.

— აბა ახლა კი ჩაიცვი.

ქალი გატრიალდა თუ არა, ჯემალმა ტანისამოსი მარღად ჩაიცვა და მორიდებით კუთხეში მიჯდა.

— აბა, ჯემალ, ჩემო პატარა, დღეს აპირებ წასვლას, თუ ხვალ?

ჯემალმა არ იცის რა უპასუხოს.

— მაშ უფროსი არავინა გყავს? — კვლავ ეკითხება იგივე ქალი, თან თავზე ხელს უსკამს თანაკრძობით.

ჯემალი თავს იქნევს.

— მაშ ისევ სოფელში დაბრუნდები?

— არა, არა, სოფელში არ წავალ, ბიძაჩემი მომკლავს, თუ უკანვე დაებრუნდი, — შეშინებული კილოთი უპასუხებს ჯემალი.

— საწყალი ბავშვი! რა გეშველება, აბა სად წახვალ?

— სადა და უპატრონოთა თავშესაფარში, — მეორე ოთახიდან მხიარულად გამოეხმაურა მაღალი ქალი, რომლის ტკბილმა კილომ და დაყვავებამ ჯემალს გუშინ აქ მოსვლა გააბედინა.

— იცი, მარიამ, რა მოვიფიქრე, — ამ ლაპარაკით იგი სწრაფად გამოვიდა მეორე ოთახიდან. — იცი, თბილისის უპატრონო ბავშვთა სახლში ჩემი ამხანაგია გამკედ. შესანიშნავად უფლიან ბავშვებს და ამ ბავშვისათვის პირდაპირ მისწრება იქნება.

— აი შენ, გაიხარე, ეგ რა კარგი აზრი მოგსვლია, — სიხარულით გამოეპასუხა მეორე.

— მაშ მოდი და ამ დილითვე გავგზავნოთ, საღამოს 6 სათზე ბავშვი თბილისში იქნება და თავს უშველის, — თქვა ისევ პირველმა და მაგიდასთან მიტრიალდა, უჯრიდან ქალაღი და კონვერტი ამოიღო, ხელად წერილი გაამზადა, კონვერტზე მისამართი დიდი ასოებით დაწერა და ბავშვს მიუბრუნდა:


— ჯემალ, შენ ხომ გინდა კარგად მოეწყო, უფრო უკეთ, ვიდრე აქ. ახლა სადაც გაგზავნით, იქ კიდეც

(გაგრძელება იქნება)

გაქმევენ, კიდეც ჩაგაცმევენ. ხომ გინდა იქ წასვლა, ბიჭუნო?

ჯემალს თვალები უბრწყინავს, მაგრამ ჩუმად არის, თითქოს ეშინია, რომ ეს ბედნიერება ხმის ამოღებამ არ დაარღვიოს.

ქალები კი დაფაცურდნენ. ჯემალს ბილეთი აუღეს, საუზმე გაუშადას, და 20 წუთის შემდეგ ჯემალი დედათა და ბავშვთა თბილ ვაგონში იჯდა და თბილისისაკენ მიქროდა.



სიომ ხილისთაველი

შეიქვეყნოს

სამშობლო ქვეყნის ყვავილო,
მერცხალო გაზაფხულისა,
ყრმათა ლექსების ოსტატო,
ჩონგურო სიყვარულისა.

დაუღალავად მღეროდი
სიმღერებს ბავშვთა გულისას,
ჰანგებსა მრავალფეროვანს
წკრიალა ნაკადულისას.


შენი ლექსების მკითხველი
ნორჩები განცდით სტკბებიან,

შენი ჰანგები შრიალით
მიდამოს ეფინებიან.

ცელქი ხუჭუჭა ბავშვები
ლიმილით გეგებებიან,
შენი ამაგით აღვსილნი
შენზე სიმღერებს მღერიან...

იხარე! უკვე დაფასდა
შენი ნათესი ციური,
მარადის უკვდავ იქნება
შენი სიმღერა მზიური...





I.

ზემო იმერეთში, სადაც აფრასიონ მერკვილაძეს ყველა კარგად იცნობდა, ყოველ მოსახლისას კაზაკები იდგნენ. მერკვილაძის პატარა რაზმი მათ წინააღმდეგ გამოსვლას ვეღარ ბედავდა.

ზამთრის ერთ სუსხიან დღით მერკვილაძემ რამდენიმე წითელრაზმელით ფეხით გადაირბინა მთაგორიანი ადგილები და ჭიათურის მიდამოებში გადავიდა. იქ ლენტორ მღვდელთან დაბინავდა. მღვდელი განგებ ეფარისელებოდა. აფრასიონი მალე მიხვდა მის ეშმაკობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეზოში რალაცა საეჭვო პირები დაინახა. ამის შემდეგ იმ სოფლიდან სამუდამოდ ამოიღვა ფეხი. გავიდა სოფელ სვერში, სრულიად მიუვალ კლდეღრეში დაბინავდა. უცნაური ადგილი იყო: ირგვლივ ციცაბო კლდეები ერტყა, ჩაღრმავებულ ადგილებზე ვეება ლოდები ეყარა. გზა მხოლოდ ერთის მხრიდან უდგებოდა, ისიც ათასნაირად მიკიბულმოკიბული. მერკვილაძემ ორი რაზმელით დაიკავა ეს სიმაგრე. ისინი რამდენიმე დღეს იმალებოდნენ აქ.

— ასეთ ჯურღმულში დამალვაც რევოლუციონერობაა? — მწყრალად თქვა აფრასიონმა.

— აბა, რა უნდა ვქნათ? სხვა გზა არაა, — უპასუხა ამხანაგმა.

— მაშ დავმარცხდით? აჰ!

— განა საეჭვოა? ხომ ხედავ, მღვდლები ორ-ორი წლის დრამას¹⁾ ერთად აგროვებენ. ხაზინიდან გატაცებული ოცდაორი ათასი მანეთი სულ გლეხებზე გაუწერიათ. თითო მოსახლე თორმეტ-თორმეტ მანეთს იხდის. ხალხი ძალიან იტანჯება, — თქვა მეორე ამხანაგმა, რომელსაც დიდმა დარდმა და წუხილმა თავი მუხლებამდის დაატანინა.

— დავიღუპეთ, — ამოოხვრით წარმოთქვა მერკვილაძემ.

ისინი ღამით ჭოტებივით იხდნენ, დღისით კი ნელნელა აგრძელებდნენ მუსაიფს. ორი ამხანაგი უფრო მეტს ლაპარაკობდა, ხოლო აფრასიონი ჩა-

¹⁾ დრამა იყო ბეგარა, რომელსაც სამღვდლოებას უხდიდა მოსახლეობა.

ფიქრებული იყო და მაღალი მთის მწვერვალებს უცქეროდა, რომ მტრები მოულოდნელად არ დასხმოდნენ.

II.

ლენტორ მღვდელი, ბიწაძე და ერთი კიდევ მათივე სოფლის მცხოვრები ფრთხილად გავიდნენ სოფლიდან, ისე ჩუმად, რომ მათივე ოჯახის წევრებსაც არ გაუგიათ. ჭიათურაში ჩასვლისთანავე პოლიციას განუცხადეს: მერკვილაძე და მისი ორი რაზმელი სვერში იმალებიანო. დაწვრილებით აღწერეს ადგილმდებარეობაც. შავრაზმელებმა შეითამაშეს, იფიქრეს: ახლა მაინც ჩავიგდებთ ხელშიო. საუკეთესო ბიჭები გამოარჩიეს. ისინი დაირაზმნენ, მერკვილაძის მკვლელი დიდ ჯილდოს ელოდა. შავრაზმელთა მთელი ასეული დიძრა ჭიათურიდან. სვერის მთიან ადგილებს რომ შეუდგნენ, ნელა სისინებდა ლიხის მთიდან წამოსული ზენა ქარი. სანამ დაბას გასცდებოდნენ, ტრაბახობდნენ, მერე მალე შეშინდნენ და თოფებიც მოიმარჯვეს. ჩაიკუნტნენ და ცოცვით მიდიოდნენ ეს უცნაური რაინდები; თუმცა ხუმრობა საქმე კი არაა ხუთი კილომეტრის ხოხვით გავლა. ასე მივიდნენ იმ ღრემდის, სადაც მერკვილაძე ფრთამოტეხილი არწივივით შეუყუყულიყო.

აფრასიონი ვეება ლოდს მიჰყრდნობოდა, მაღალი მთების თხემებს ათვალეერებდა და ამხანაგებს ეუბნებოდა:

— უსახსრობას რა ვუყო, თორემ საზღვარგარეთ წავიდოდი. ახლა ცუდია ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ რევოლუციის ალი კვლავ ჩქარა ავარდება.

— ყველაფერს მოგიხერხებთ, ამხანაგო აფრასიონ, — უთხრა ერთმა ამხანაგმა.

ამ სიტყვებზე აფრასიონმა გრძელი მკლავი ფრთავით გაშალა, ამხანაგს მხარზე დაადო, რამდენჯერმე მსუბუქად დაჰკრა და მიმართა:

— არა, ჩემო ძმაო, პირადი საქმისათვის არავის შევაწუხებ. ხალხს თავისი უბედურებაც ეყოფა, არბევენ, აწიოკებენ, ხაზინიდან ოცდაორი ათასი მანეთის გამტაცებელთა რიცხვში მეც ხომ მთვლიან, მაგრამ იქიდან კაპიკიც არ ამიღია... ეხ, ხალხის ყბას ვინ გაუძღვებს. ნათქვამია: „ენას ძვალი არ“...

— და მოულოდნელად თოფის ხმამ შეაწყვეტინა სიტყვა. მან თავისი გამჭირახი თვალი ირგვლივ აზიდულ მათა მწვერვალებსა და ფერდობებს მოავლო. სადღაც კვამლი გაიშალა და ნისლივით მიდიოდა მალა-მალა.

— მოგვაკვლიეს მხეცებმა, — დაიღრინა ერთმა წითელრაზმელმა და თოფი ააჩხარუნა.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, გაქცევა ჩვენ არ გვჩვევია. მოეფარეთ ქვებს, აიღეთ ნიშანი! — მერკვილადემ აულეღვებლად გააფრთხილა ამხანაგები.

— გამქცევს დედა მოუკვდეს! — ერთად წამოიძახეს.

ისინი დაფაცურდნენ, მოეფარნენ ლოდებს და მიზანი აიღეს. სროლას ესენიც სროლით უპასუხებდნენ, თუმცა მოწინააღმდეგეს ვერ ხედავდნენ. უმიზნოდ ისროდნენ. ზემოდახ კი სეტყვასავით სციოდა ტყვიები. გაქცევა რომ ნდომოდათ, ამდენ ტყვიას მაინც ვერ გაართმევდნენ თავს. ორი წითელრაზმელი მძიმედ დაიჭრა, საკუთარ თოფებსაც ველარ ერეოდნენ და ქვებს მოეფარნენ. ხმას აღარ იღებდნენ, გული უღობდებოდათ, განთქმული ვაჟაკები ასე იოლად რომ იღუპებოდნენ.

მერკვილადემ მრავალგან დაიჭრა, სროლა აღარ შეეძლო. ზემოდან კვლავ ტყვიების სეტყვა მოდიოდა, ტყვია ნატყვიარში გარბოდა. წითელრაზმელების თოფები რომ დაღუმდნენ, მაშინ შავრაზმელები ნელა დაეშვნენ მთებიდან. აფრასიონმა მწარედ ამოიხვნეშა, ძლივს გადაბრუნდა. მხარი რომ შეიცვალა, ჩანთაში მოქცეული საველე ბიბლიოთეკიდან ქაღალდი და ფანქარი ამოიღო, დაჭრილი, აკანკალებული ხელით ძლივს დაიწყო წერა:

„ამხანაგებო, ჩემო წითელრაზმელებო, ნუ დაჰკარგავთ ჩემს სისხლს, შეინარჩუნეთ ჩვენი რწმენა პროლეტარიატის გამარჯვებისათვის, არ უნდა შეგეშინდეთ სისხლისმსმელი ჯალათების. მე კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ როგორღა ვთქვა, ტყვიები წვიმისავით მოდის... ვწუხვარ, რომ მხეცებმა თქმა აღარ დამაცადეს“. — წერილზე კიდევ არის მიწერილი რამდენიმე სტრიქონი, მაგრამ სისხლით დასვრილი სტრიქონები აღარ იკითხება.

მან წერილი ლოდის ქვეშ ამოდო, შავრაზმელებიც მოუახლოვდნენ. ბომბას ძლივს დასწვდა აფრასიონი, მოიქნია, მაგრამ უძლურმა მკლავმა მტერს ველარ ავნო. მიწაზე უძრავად გაწოლილმა თავი მწარე ღიმილით გადააქნია:

— თქვენ რა გიშავთ, ჩინს მიიღებთ ჩემს სიკვდილში. ჰაი, დედასა, რა დროს ჩამიგდეთ ხელში, — თქვა ეს სიტყვები და სული დალია. სახეზე ცივი ღიმილი შერჩა.

მკვდრები ერთ კვირაზე მეტს ეყარნენ უპატრონოდ, თავს ყარაულები დასტრიალებდნენ. გაზეთებმა

გამოაქვეყნეს ცნობები. მღვდლები და თავად-აზნაურობა აპარპაშდნენ, ხოლო დარბეული გლეხები კვლავ მივიდნენ სვერში უკანასკნელად. მიცვალე ბულები მშობლებს არ დაუთმეს. ისინი ცხუნვეთის ეკლესიის გალავანში დაასაფლავეს. შორაპნის მაზრის მესვეურები: ბოქაული მახარაძე, კედია, მანსვეტოვი და მთელი ხროვა ამოძრავდნენ. ესენი ამტკიცებდნენ, მერკვილადე ყაჩაღი იყო, უნდოდათ სახელი გაეტეხათ მისთვის ხალხში, მაგრამ ხალხმა თავის საყვარელ გმირზე მაშინვე ლექსი გამოთქვა. ამ ლექსს დიდი და პატარა მღეროდა:


აფრასიონ მერკვილადეს
თავი უკვდავი ეგონა,
ოცი ტყვია მოახვედრეს,
ფეტვის კაკალი ეგონა.
„სტრაჟნიკები“ შემოერთყნენ,
კოლო-ბუზები ეგონა,
რაზმელების შეძახება
ტკბილი სიმღერა ეგონა,
მკერდს სისხლი გადმომდინარე
წითელი ვარდი ეგონა.

სიკაბუტეში მერკვილადე თვითონ აგროვებდა ხალხურ ლექსებს, ახლა კი თვით გახდა ხალხური ლექსების გმირი. მთავრობა ყაჩაღს უწოდებდა, ხალხი კი თავის საყვარელ გმირად თვლიდა.

III.

მერკვილადის მოკვლის ამბავი ელვასავით გავრცელდა. პორფილე კონდუქტორმა, აფრასიონის რაზმელმა, მაშინვე მონახა ორი ამხანაგი, ჩაიცივს „სტრაჟნიკების“ ტანისამოსი და ლენტორ მღვდელს, გამცემ ბიწაძეს და მათ მეზობლებს ესტუმრნენ.

— ბოქაულმა თქვენთან გამოგვაგზავნა მერკვილადის საქმის თაობაზე. თქვენ, თურმე, კარგად იცნობთ ამ საქმეს. დრო თუ გექნებათ, წამობრძანდით იმ ადგილზე, სადაც ისინი იქნენ მოკლულნი. გამცემნი ჯილდოს მიიღებენ.



— მამა და შვილო, ჩემზე უკეთ სხვამ ვინ იცის
ეგ ამბავი! — თავმომწონედ უპასუხა მღვდელმა.

— მაშ წავიდეთ.

ისინი გაემგზავრნენ. გზაში ტკბილი მუსიკით
მიდიოდნენ. გაღაცმული წითელრაზმელები ავინებ-
დნენ მერკვილადეს, და გამცემთ სითამამე კიდე
უფრო ემატებოდათ. მივიდნენ მკვლევლობის აღ-
გილზე.

— აჰა, აქ მოკლეს ის ძალი, — ყველას დაას-
წრო ბიწაძემ. — ეგ ჩვენც ვიცით, მაგრამ საქმე ის
არის, მთავრობას პირველად ვინ შეატყობინა? —
იკითხა პორფილე კონდუქტორმა.

— მე, მამა და შვილო, ჩემზე ადრე არავინ იცოდა..

— რას ამბობ, მამაო, სულიერ მამას განა მაგის-
თანა ტყუილი გეკადრება? ყველაზე უწინ ეგ ამბავი
მე ჩავიტანე ჭიათურაში, — შეეცილა ბიწაძე.

— არა, ძმაო, არც შენ ხარ მართალი და არც
ჩვენი მოძღვარი. მათი თავშესაფარი ჩემზე უწინ
არავინ იცოდა, — თქვა მესამემ.

— მაშ, თქვენ ჯილდო გინდათ ახლა, არა?! —
მიმართა პორფილემ.

— კი, მამა და შვილო, აბა, მაგ ძალთაპირების
თავიდან მოშორება უბრალო საქმე კი არ იყო..

— მართალი ბრძანებაა, ბატონო, მართალი, —
დაეთანხმნენ სხვებიც.

— თქვენ სამივეს დიდი საქმე გაგიკეთებიათ,
ამიტომ ჯილდოებსაც ახლავე დაგირიგებთ.

— გვეკუთვნის კიდეცაც, — სიხარულით წამოი-
ძახა ბიწაძემ. პორფილე კონდუქტორმა რევოლვერი
ამოიღო.

— ეგ რა ჯილდოა, მამა და შვილო? — უკმაყო-
ფილოდ თქვა მღვდელმა.

— თქვენ მეტის ღირსი არა ხართ. შენ ყველაზე
პირველად უნდა მიიღო ჯილდოდ ცხელი ტყვია!

რევოლვერი ორჯერ დაიცალა, და ჯაშუში
მეზობელი უსულგულოდ დაეცა მიწაზე. მღვდელი
გაცოფდა, ხელები აღაპყრო და ლოცვას მოჰყვა.

— ბიწაძე, შენ რაკი ჭიათურაში ჩასულხარ,
ტყვია შუბლში მოგიხდება, — და ბიწაძეც წაიქცა.
ღენტორ მღვდელმა ტირილი დაიწყო.

— შენ კი ღმერთთან მიიტანე ამბავი: ნუ უთხრი
სხვასა ორმოსა, თორემ თითონვე ჩავარდებიო, — და
პორფილეს ტყვიებმა მღვდელიც მიწაზე დააწვინა.

წითელრაზმელებმა მაშინვე ჭიათურისკენ გამო-
სწიეს, ჩასხდნენ მატარებელში და ღამით სოფელ
კვალითში ამოყვეს თავი. იქ ერთ გლეხთან მივიდ-
ნენ. გლეხი დაფაცურდა. აღდგომის დიდმარხვა იყო,
მაგრამ სხვენში ჩამოკიდებული ლორი მაინც ჩამო-
ჭრა და ქვაბით ცეცხლზე შემოკიდა. პორფილემ
ხუმრობით ფეხქვეშ ბოძა შეუგორა.

— არ გეშინია? — ჰკითხა სიცილით.

გლეხმა გრძელ უღვაშებზე გადისვა ხელი:

— გამიგონია, ბოძი ყველაფერს ანგრევსო და
ასე ახლოს არც შენ დაგაკლებს ხელს.

— მიგვიხვდი ეშმაკობას? — უთხრა სიცილით მეო-
რე რაზმელმა.

გვიან იგახშმეს, ხოლო დილით ადრე წავიდნენ
მთებისაკენ. სწორედ მეორე დღესვე სოფლის კან-
ცელარიის ეზოში ბოქაულმა გლეხების კრება მოი-
წვია. სიტყვით მახარაძე გამოვიდა. იგი სიცილითა
და ტკბილი ენით ლაპარაკობდა:

— შვილებო, ჩვენ ყველაფერი ვიცით. თქვენში
წუხელი სამი წითელრაზმელი ჩამოკიდა. ჩვენ მათ
კი არაფერს ვერჩით, მხოლოდ იარაღი ჩაგვაბარონ
და იცხოვრონ პატიოსნად. ხომ არიან ისინი თქვენ-
ში?

— არა, ბატონო! — ერთხმად დაიძახა ყველამ.

— უარს რად ამბობთ, ჩვენ ისიც ვიცით, წუხე-
ლი ღამე ვისთან გაათიეს. თქვენ მონახეთ ისინი,
მოვლაპარაკეთ, მოიყვანეთ ჩვენთან, და პირობას
ვიძლევი, არაფერს ვაწვებთ.

გლეხებმა რამდენიმე დღის ვადა ითხოვეს. კრე-
ბის შემდეგ გლეხებმა ერთმანეთთან ითათბირეს და
პორფილესთან კაცები გაგზავნეს. მონახეს, პირობები
აუხსნეს. მაშინ პორფილემ თქვა:

— კარგი, მე თქვენი მახრისა არა ვარ, წავალ
ჩემს სოფელში და იარაღს იქ ჩავაბარებ, ესენი კი,
გადახედა ამხანაგებს, — აქაურებია და ხვალ დილით
თვითონვე მოვლენ მახარაძესთან. — გლეხები გულდამ-
შვიდებულნი დაბრუნდნენ უკან, ხოლო წითელ რაზ-
მელები იმდამითვე გაიპარნენ ქუთაისისაკენ. გადა-
ურჩნენ მახარაძეს, მაგრამ ქუთაისში ყველა შეიპ-
ყრეს და სატუსალოში მოათავსეს. ხალხი გუნდგუნ-
დად ეხვეოდა ციხეს. ყველას მერკვილადის რაზმლე-
ბის ნახვა უნდოდა, მაგრამ ციხესთან არავის უშვებ-
დნენ. მათ საკანში მოულოდნელად ერთი ახალი ტუ-
სალი შეიყვანეს. ის ერთის შეხედვისთანავე იცნეს: ეს
იოკიმე პროვოკატორი იყო. პორფილემ ამხანაგებს
რალაც გადაულაპარაკა, მერე იოკიმეს მიუახლოვდა.

— შენ იოკიმე ხარ?

იოკიმემ ძლივს წამოილაპარაკა:

— მე... მე ვარ...

— აი, შე ჯაშუშო, — შეუყვია პორფილე კონ-
დუქტორმა და თავზე სტაცა ხელი. სხვებიც მიეშ-
ველნენ, კისერი მოუგრისეს და უხმოდ დაახრჩვეს
საკანში.

IV.

შავრაზმელი მახარაძე, მანსვეტოვი და კედია
გამარჯვებას ზეიმობდნენ. მათ მერკვილადე სვერში
წააქციეს, ხოლო მისი ერთგული და უშიშარი წითელ-
რაზმელები: პორფილე კონდუქტორი, რომელმაც
მერკვილადის ანდერძი არ დაივიწყა, კოლია ლორთ-
ქიფანიძე, ძმები ჭუმბურიძეები და ტრიფონ საქარე-
ლი უკვე ქუთაისის ციხეში იყვნენ გამომწყვდეულნი.
მათ ყოველ წუთში მუქარა ესმოდათ:

— კიდეც ივაჟაკებთ? ველარ იხილაეთ მზის
სინათლეს! როდის იყო, რომ კამეჩის მოჭიდავე
ხარს რქები შერჩენოდა.

წითელრაზმელები გულს არ იტყებდნენ:

— დროებითია თქვენი გამარჯვება, ნუ ყოყო-
ჩობთ, ბოლოს მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ!

რეაქცია უფროდაუფრო შლიდა ფრთებს. ალი-ხანოვ-ავარსკიმ დაბა-ქალაქები სულ დაარბია. თუმცა ბოლოს არც იმას დააყარეს ხეირი, მაგრამ მეფის მოხელენი მაინც ზეიმობდნენ. ისინი ნიშნისმოგებით უტკეროდნენ ნაცრად ქვეულ სოფლებს. უსახლკარო გლეხები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ უბედურებას, გულმოკლულნი უტკეროდნენ დარბეულ სოფლებს. ყველგან თავისუფლად დათარეშობდნენ მახარაძის კაცები და მერკვილაძეზე ცნობებს აგროვებდნენ. მისი პროცესით ხალხისათვის უნდოდათ დამტკიცებინათ, რომ მერკვილაძე ყაჩაღი იყო. საბრალოდებლო ცნობებით რამდენიმე ტომი შეიკრა.

— ვაჟკაცობაც ამისთანა უნდა. მერკვილაძის სახელი სიკვდილის შემდეგაც საფრთხობელად არის გადაქცეულიო, — ლაპარაკობდნენ გლეხები.

სწორედ მერკვილაძის მკვლელობის ხუთი წლის თავზე ვაგრცელდა ხმა: 1911 წლის ენკენისთვეში დაიწყება მერკვილაძის წითელრაზმელთა გასამართლებათ. გასამართლება უნდა მომხდარიყო ქუთაისში, საგუბერნიო ქალაქში.

შემოდგომა იყო ჩვეულებრივი: მშრალი და ქარიანი, თითქოს ამ ქარს დაჰქონდა მიმოთქმად გასამართლების ამბავი. ყველა ღელავდა, მაგრამ თვით ბრალდებულნი მშვიდად იყვნენ. სასამართლოს დარბაზი ხალხით გაიჭედა, დიდ შენობას ჯარი ერტყა. დარბაზში ეკიდა ძვირფასად მოვარაყებულნი სურათები. ჩარჩოებში ხატებივით იყო ჩასმული ნიკოლოზ მეორისა და დედოფლის სურათები, შემდეგ დიდი მინისტრების, ვორონცოვ-დაშკოვისა და საეკლესიო წმინდანებისა.

დარბაზში შემოიყვანეს ბრალდებულნი: პორფილე კონდუქტორი, კოლია ლორთქიფანიძე, ძმები ჭუმბურიძეები... ხელებსა და ფეხებზე ბორკილები ჰქონდათ დადებული. რკინებით შებოჭვილ ადამიანებს უკან მოსდევდნენ შიშველხმლიანი ჯალათები. ცოტა ხნის შემდეგ სასამართლოს სცენაზე გამოჩნდა სასამართლოს შემადგენლობა. ხალხი შიშითა და მორჩილებით წამოიშალა. პროცესს თავმჯდომარეობდა გენერალი ეგნატიევი, ბრალმდებლობდა პოლკოვნიკი გალიცინსკი. სასამართლოს წევრები იყვნენ: გორის ქვეითა პოლკის კომანდირები გამაღვი და ფედოსოვი.

— სულ თვალის ასახვევადა ყველაფერი მოწყობილი, ამხელა პროცესი მხოლოდ ერთი სიტყვისთვის არის შეკოწიწებული, რომ გრძელ განაჩენში ერთი სიტყვა „დახრჩობა“ ჩავვიწერონ, — ქართულად გადაულაპარაკა გვერდით მჯდომ ამხანაგს კოლია ლორთქიფანიძემ. პორფილე კონდუქტორმა თვალი თვალში გაუყარა ლორთქიფანიძეს და უსიტყვოდ დაუდასტურა, ხოლო კოლია ლორთქიფანიძეს გვერდზე ხმალი მიადო ჯალათმა და მკაცრად უთხრა:

— ძაღლის ენაზე ლაპარაკი აკრძალულია.

წითელრაზმელებმა მწარედ გაიღიმეს. მათ დამცველად პარტიამ სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საშუალებით სოკოლოვი გამოიწვია პეტერბურგიდან. იცავდნენ ქარ-

თველებიც... გალიცინსკიმ მქუხარე სიტყვა წარმოთქვა, ქვეყნის დარბევა სულ ბრალდებულებს მოახვია. მერკვილაძეს „ყაჩაღის“, „ავაზაჯის“, „მხეცის“ სახელწოდებით აქობდა.

სოკოლოვმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე მათი საქმე საფუძვლიანად შეისწავლა. მისი მიზანი იყო, რომ მათთვის ავაზაკობის ლაქა ჩამოერცხა. მან შორიდან დაიწყა და მსჯელობის დროს განაცხადა:

— ... ამ ოქმს ხელს აწერენ ბოქაული მახარაძე და მანსვეტოვი. ოქმი გვატყობინებს: „სოფელ სვერში, ჭიათურის მახლობლად, ჩვენმა დამცველმა რაზმმა გმირული ბრძოლის შემდეგ მოჰკლა აფრასიონ მერკვილაძე, დუგლაძე და გაჩეჩილაძე. დახოცილთ სამი თოფი დარჩათ, ექვსი რევოლვერი, რამდენიმე ბომბი და ორასი ტყვია.“ ეს, ვთქვათ, ყაჩაღებისათვის დამახასიათებელია, მაგრამ რაღას იტყვიო, როცა ოქმი ასეთ ცნობასაც გვაწვდის: „სისხლში გასვრილ მერკვილაძეს მხარზე ეკიდა აგრეთვე წიგნებითა და ვაზეთებით საესე ჩანთა, საველე ჩანთაში აღმოჩნდა: კარლ მარქსის „კაპიტალი“, პლენხანოვის „ჩვენი უთანხმოებანი“ და „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში“, ლენინის წერილი „სოციალ — დემოკრატების გამაერთიანებელ ყრილობაზე“, ფრიდრიხ ენგელსის „გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში“. განა ავაზაკები ამისთანა წიგნებს კითხულობენ? თუ თქვენში ასეთი ავაზაკებია, ეს სირცხვილი როდი არის, საამაყოა.

სასამართლოს ზრახვები არ გამართლდა, მაგრამ ბრალდებულებს მაინც დახრჩობა გადაუწყვიტეს. განაჩენის მოსმენის შემდეგ ისინი ისევ საკანში დააბრუნეს. ციხესაც ჯარი ერტყა ვარშემო. კოლია ლორთქიფანიძემ ამხანაგებისადმი გამოსამშვიდობებელი სიტყვა წარმოთქვა ფანჯრიდან:

— მე და ჩემი ამხანაგები გიძღვნიოთ სალამს, გემშვიდობებთ; შეიძლება გაწყენიეთ, გვაპატიეთ. ჩვენი საქმე იყო იარაღით ბრძოლა თავისუფლებისათვის. ჩვენ ერთხელაც არ გვიღალატინია ამ წმინდა საქმისათვის. ჩვენ სიცოცხლის მეტი არა გვაბადიარა, შეგვიწირავს იგი ხალხის ბედნიერებისათვის! უშიშრად ვანაცვალებთ ჩვენს სიცოცხლეს რევოლუციას და სახრჩობელაზე სრულიად კმაყოფილი ავდივართ. ჩვენ გვამხნევენ ის რწმენა, რომ ადრე თუ გვიან, მშრომელი ხალხი დაამხობს მონობას. გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს პროლეტარიატს!

ამ სიტყვებმა ჯარისკაცებში სიბრალული გამოიწვია. ნაშუადღევი იყო, საკანის კარები რომ გააღეს. მოახლოვდა დახრჩობის წუთები. ისევ ლორთქიფანიძემ მიმართა ტუსადებს:

— ეი, ტრიფონა, ამხანაგებო! აბა, მტერი მოდის ჩვენს წასაყვანად. ფრთხილად, არ დაიბნეთ, არ შეშინდეთ, — მერე უფროსს მიმართა აუღელვებლად: — ბატონო უფროსო! რად გარჯილხართ! ჩვენს გასაყვანად მობრძანდით? მერე თოკი რად გინდათ? ჩვენს შესაკრავად? ჩვენ მხეცები არა ვართ.



ჩვენ ვიცით, რომ გვევლებათ ჩვენი დახრჩობა. ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, მზად ვართ წამების მისაღებად. პირველად მე გამიღეთ კარი და გამიყვანეთ, — თან ამხანაგები გაათრთხილა, წინააღმდეგობა არ გაბედოთო.

ტუსალებთან მღვდელი მივიდა, უნდა ეზიარებინა, მაგრამ ჭუმბურიძემ მიაძახა:

— ჩვენ არ გვინდა ზიარება... ჩვენ მუშათა კლასის თავისუფლებისათვის ვიბრძვიტო...

სახრჩობელისაკენ მიმავალი ტუსალები თამამად მღეროდნენ „მარსელიეზას“, სახრჩობელაზეც სიმღერით ავიდნენ. ისევ ლორთქიფანიძის ხმა გაისმა. მან ჯარისკაცებს მიმართა:

— ჩვენ ავაზაკები და ხალხის მტრები არ გეგონათ. ჩვენ ვართ მუშებისა და მშრომელი გლეხების ბედნიერებისათვის მებრძოლნი. თქვენ მშრომელი ხალხის შვილები ხართ, სხვის საქმეს აკეთებთ. ჩვენი დახრჩობით მთავრობას ჩვენი მომხრეების დაფრთხობა უნდა, მაგრამ ამით ჩვენი ლაშქარი უფრო ძლიერდება. „ჩვენ გვახრჩობენ მაშინ, როცა ხალხს სძინავს, ხოლო ჯალათებს დაახრჩობენ მაშინ, როცა ხალხი გამოიღვიძებს“. გაუმარჯოს მშრომელ ხალხს, მათი ინტერესების დამცველს! — უპასუხოდ მღვდელიც არ დატოვა, რომელიც სახრჩობელასთან მივიდა; — რად გარჯილხართ, ჩვენთვის საჭირო არ არის ზიარება.

— ჩვენ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში მეს დიდი ხანია ვეზიარეთ, — შესძახა მღვდელს ბრალდებულმა ჭუმბურიძემ. მერე კვლავ ლორთქიფანიძემ ითხოვა:

— ბატონო უფროსო, გთხოვთ მოგვცეთ ერთმანეთის გამომშვიდობების ნება.

ტუსალები ერთმანეთს გადაეხვივნენ, შეიქნა მხურვალე კოცნა. ჯარში სიჩუმე ჩამოვარდა. მათ გული მოუღბო ამ გოლწრფელმა სიტყვებმა. დუმილი ისევ ლორთქიფანიძის ხმამ გაბზარა:

— ბატონო უფროსო! მე შეგპირდით დაგემორჩილოთ და შევესრულო სასამართლოს განაჩენი. მე ჩემს სიტყვას არ გადავალ. მე შემეძლო ცხოვრება და შემეძლია სიკვდილიც.


ისევ აგოგუნდა მარსელიეზა. სიმღერით შეხტნენ სახრჩობელაზე და ყულფებში სიცილით გაჰყვეს თავები.

— აღამიანს რომ სიკვდილის არ შინებოდეს, ამის მეტად არ გვინახავს. კიდევ დიდი საზრუნავი გვაქვს. რალაცა ისეთი სასჯელი უნდა მოვიგონოთ, რომელიც ამ აღვირახსნილ ხალხში შიშს გამოიწვევს, — ამბობდნენ გაკვირვებული ჯალათები.

ჩამწყკრივებულ ბოძებზე ჩამომხრჩვალ აღამიანების გვამებს ქარი ზანტად არხევდა. ქუჩიდან ქუჩაში ქარის ტალღები ყრუ ზუზუნით დააქროლებდა „მარსელიეზას“ გუგუნს, სიკვდილის წინ რომ ტუსალებმა უკანასკნელად იმღერეს.

◆
მ ა რ ი ჯ ა ნ ი
◆

მ ა ი ნ ც ბ რ უ ნ ა ვ ს !



ველარ გაუძლო სასტიკ ჯალათებს,
არ ძალუძს ტანჯულს მეტი მოთმენა,
და გალილეიმ, დიდ ბრძოლის შემდეგ,
უნდა უარყოს თავისი რწმენა...

სასამართლოში მსაჯულთ წინაშე
დგას გალილეი განაწამები,
და დამცინავი ღიმილით ტუჩზე
პასუხს ელიან „წმინდა“ მამები.

— ვფიცავ ზენაარს, ჩემი მოძღვრება
უსაფუძვლოა და უთავბოლო,
ავადმყოფ ტვინის ნაფიქრალია
და სულელ კაცის ბოდვა მხოლოდ!

მე ღმერთს შევცოდე, სასულიერო
მცნება-მოძღვრება რომ უარყავი,
ღირსი ვარ იმის, რომ დავისაჯო... —
თქვა და უძლურად დახარა. თავი.

ირგვლივ განგაში და ხარხარია,
ყველა დასცინის გალილეისა,
მაგრამ ჭკლარა, მხნე მეცნიერმა
ისევ მებრძოლის ფრთები შეისხა:

„ოჰ, მაძილეთ, და მეც ვიცრუე:
თქვენმა წიგნებმა ვერ დამარწმუნა.
ჩემი სიცოცხლე თუმც თქვენს ხელშია,
მე მაინც ვამბობ, რომ მიწა ბრუნავს.“



ჭიანჭველები ომი

ცნობილი ბუნებისმეტყველები გუბე, ლინსეკუმი, აგასიზი და სხვები, რომელთაც ჭიანჭველათა ცხოვრებაზე ხანდაზმული დაკვირვება უწარმოებიათ, გასაოცარ ცნობებს გვაწვდიან ამ ციციქნა ცხოველთა ურთიერთ ომების შესახებ. მათი აზრით, ცხოველთა სამყაროში (აღამიანთა გამოკლებით) არ არსებობს არც ერთი სახის ქმნილებანი, რომელნიც ისე აზრიანად, გეგმაშეწონილად და მოფიქრებული დარაზმულობით აწყობდნენ ლაშქრობებს, მძარცველურ მტაცებლურ ომებს, როგორც პაწია ჭიანჭველები.

რა აღვლევთ ჭიანჭველებს? როდის და რისთვის მიდიან ისინი ერთმანეთის დასაზრებად, შესამუსრავად და საძარცველად? როგორც ცნობილია, ჭიანჭველები მთელი გაზაფხულ-ზაფხულის განმავლობაში გაფაციცებით და ბეჯითად ემზადებიან ზამთრის სურსათის მოსამარაგებლად. შემოდგომაზე ისინი თავიანთ ბელეს ყურადღებით სინჯავენ (ათვლიერებენ) და რა წამს რწმუნდებიან, რომ დაგროვილი სურსათ-მარაგი არ არის საკმაო ზამთარში გამოსაკვებად, მაშასადამე, სიკვდილის საფრთხე მათ სერიოზულად ემუქრება, ისინი მყისვე ასკვნიან ომს რომელიმე მეზობელ ჭიანჭველათა წინააღმდეგ.

დაახლოებით შუადღისას ისინი თავიანთ მეზობელ ძალებს მობილიზაციას უშვებენ და ამრიგად მთელი ლაშქარი მწყობრ რიგებად დარაზმული დინჯად იძვრის მტრის სადგომებისაკენ. მეცნიერთა შესწავლით, ჭიანჭველათა ჯარს წინასწარ გამოყოფილი ჰყავს მზვერავნი, რომელნიც მოწინააღმდეგის ძალთა მოძრაობას ადევნებენ თვალყურს, შემტევი მოიერიშე ნაწილები, რომელნიც ჯარს წინ მიუძღვიან და მტერს პირველნი უმართავენ ბრძოლას, სანიტარები, რომელთაც დაჭრილ ამხანაგებზე ევალებათ ზრუნვა, მიწისმთხრელები და სხვა.

ჭიანჭველები, რა თქმა უნდა, არ არიან ხელოვნური სამხედრო იარაღით შექურვილნი. მათი ომი ხელჩართული ბრძოლის ხასიათს ატარებს. ისინი ლაშქრობის ჟამს არავითარი დაბრკოლების წინაშე არ იხევენ, უცნაური ოინებით ადიან მთებზე, გადადიან მდინარეებზე, ხრიოკ ღრანტეებზე; მტრის სადგომთან მიახლოებისას თანდათან უჩქარებენ ნაბიჯს და დასასრულ გამოქცეულნი ეკვეთებიან მოწინააღმდეგეთ. არ სძინავთ დამხდურთაც, ეს უკანასკნელნი თავიანთი სადგომის შესასვლელებს


სასწრაფოდ ახშობენ, მამაცურად გამოდიან საკუთარ კარიბჭეებთან და მედგრად უმართავენ ომს თავდამსხველ მხარეს. ჩაღდება საშინელი „სისხლის მღვრელი“, ურთიერთგამანადგურებელი ომი. დამხდურნი იშვიათი სიბეჯითითა და თავზეხელადებული გამბედაობით იბრძვიან საკუთარი სახლკარის, ოჯახისა და დოვლათის შესანარჩუნებლად. ჩვეულებრივ, თავდამსხმელი ბოლოს მაინც იპარჯვებს. მიწა იფარება დახოცილთა გვამებით. გამარჯვებულნი ძალით იჭრებიან მოწინააღმდეგის სადგომში და იქიდან გამოაქვთ სურსათ-მარაგი, კვერცხები და ძლევა მო-



სილნი, ტყვე-ალაფით დატვირთულნი ბრუნდებიან უკან. ომში დაჭრილი თანამომეგები მათ არ ავიწყდებათ, ისინიც თან მიჰყავთ მოსაველ-მოსარჩენად. საზოგადოდ ჭიანჭველები, როგორც ჯიშით, ისე სახითა და სიდიდით, ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად მტაცებელ-მეომარი ჭიანჭველები მხოლოდ ომში მოწინააღმდეგის შემუსვრაში არიან დახელოვნებულნი, სხვა საქმიანობაში კი იმდენად უმწეონი არიან, რომ თუ მეურნე ჭიანჭველა მათ პირში ლუქმას არ ჩაუღებს, თავად არ შეუძლიათ საზრდოს მიღება.

3ლ. კახიანი





გაზაფხული

გაზაფხული, შემკობილი
მრავალ ფერთა,
მოდის, მოაქვს სიხარული
მთა და ველითა.

მოდის ლხენით, ტკბილი მღერით,
ნაზი, ხმიანი,
იფურჭნება, ყვავილდება
მდელო, იანი.


გადაიძრო თეთრი ფარჩა,
მთებს რომ ეხურა,
ცას შზის სხივი კონა-კონა
გადაეხურა.

მოქუსს კლდეზე ნაკადული
ცელქი, ხმიანი,
ღღეს დაგვიდგა სანეტარო
ხანა მზიანი.

ს. ჯარბიძე

თბილისის მე-30 სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.





როს სძინავს მინდვრებს, ქალაქში მუშას,
ხეებსაც ტყეში, სოფელში ყველას,
ბალის ლობესთან არ სძინავს გუშავს
და გმირის ხელში შაშხანა ელავს.

რა ძლიერ გვხიბლავს სამშობლო ვრცელი,
გული რა ძლიერ სიყვარულს იტევს!
შენ დგახარ თხიზლად, ვერაგის ხელი
რომ არ შეეხოა საზღვრების კლიტეს.

დაცვას სამშობლო შენგან მოელის,
და შენც მთა და ბარს თვალებით ზომავე,
რომ არ გამოგრჩეს სრიალი გველის
და მიძინებულ ბუჩქებში ძრომა.

თუ უცაცუნა თხუნელამ თათი
წალკოტის ქიშკარს, ნაზად შლილ ბალებს,
რომ მოითხაროს ჯილაგი მათი. —
შენი შაშხანა ცეცხლს გააჩაღებს.

თვალეებით ზომავე წყვილიადში ბალახს,
ან თუ შეირხა საითმე ღერი,
რკინას გააღლობს მესაზღვრის ძალა,
თუ გადმოვიდა საზღვარზე მტერი.

ძგერდეს ვაჟკაცის მგზნებარე გული,
ვინც ეპოქის და ქვეყნის შევილია,
გმირები საზღვარს გარშემო უფლით,
ჩვენი საზღვრები ჩაკეტილია.

ალ. გეგაშვილი

სიღნაღი, სრული საშუალო სკოლა.



ვაჟა - ფშაველას

პოეტო! ძველმა ქვეყანამ
მოკამა დრო და ხანაო,
ხევესურეთმა და ქისტეთმა
ქიშპობა მოიშალაო.

წინათ დაჭრილმა არწივმა
ახლა დაიწყო ფრენაო,

ამაჟად დასცქერს ქვეყანას,
ალარ სჭირდება შევლაო.

განთავისუფლდა მპრომელი,
ჩანგმა დაიწყო ელერაო,
ნეტა განახვა ეს მხარე,
განახლებული კერაო!

კაკო ხინთიბიძე

ქ. მახარაძე, VIII კლასის მოსწავლე.



39 150

ნაჩილი მკითხველებს!



თითოეული ნახატი წარმოადგენს სიტყვას. ამ სიტყვების პირველი ასოებისაგან უნდა შეადგინოთ წინადადება.